№ 176 1 ენკენისთვე, პარასკევი 1866—1878 1 ენკენისთვე, პარასკევი № 176

დროება

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლში. № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირ ღოვის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: თ[illegible] წლისა—8 მან., 6 ხუთვარ წლისა—4 მ.ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: [illegible] ბაზრის, [illegible]ულს, სომხურს [illegible]ზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასრზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტროქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ [illegible]ვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. [illegible]ელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

ᲤᲐᲡᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი. პირველი აგვისტოდამ წლის დამლეამდინ—4 მან.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ: Თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლებში, № 8). Ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲡ

II *)

მასწავლებლებმა მხედველობაში ისიც უნდა იქონიონ, თუ რას ითხოვს სოფლის ხალხი შკოლაში მოსწავლე შვილისაგან, რა ცოდნა ეჭირება იმას?

Ცხადია, რომ გლეხკაცს უნდა, რომ მისი მოსწავლე შვილი გამოადგეს მას ყველა მის საქმეში, მის ყოველ-დღიურ ცხოვრებაში, მას ეჭირება მისგან ვისთანმე ბარათის მიწერაც, ვისგანმე მოწერილის წაკითხვაც, თუ აღებ-მიცემობა აქვს რამე—იმის ანგარიშის შედგენა; იძას ხშირად დასჭირდება ხოლმე, რომ მისმა ნასწავლმა შვილმა აუხსნას მას მისთვის გაუგებარი მოვლინებანი, თუ შეჰხვდა როგორმე გაზეთიც წაუკითხოს და ქვეყნის ამბები შეატყობინოს, ქვეყნიერების ვითარება შეატყობინოს, საქართველოს ცხოვრებიდამ რამე უამბოს, სამღრთო მოთხრობიდამ და სხვ. Აგრეთვე ხშირად მთავრობასთან აქვს ხოლმე იმას საქმე, ანუ მთავრობას იმასთან, მაშინ ნასწავლი შვილისაგან მოენეობას ითხოვს ის, ვექილობას, იმისთვის საჭიროა გაიგოს იმისგან მოხელები ხომ არ ატყუებენ, მის უცოდინარობით სარგებლობა ხომ არ უნდათ ზოგ-ზოგებს. . .

Ერთის სიტყვით გლეხი კაცი შვილს რომ აძლევს შკოლაში და მით თავის ოჯახს მუშა-ხელს რომ აკლებს, იმიტომ სჩადის ამას, რომ ის შვილი სწავლის შესრულების შემდეგ მისი შემწე და დამხმარებელი იყოს. Ამ მოლოდინით რომ არის ამიტომაც მუდამ თვალყურს ადევნებს შვილის სწავლას, მუდამ სცდის მის წარმატებას სწავლაში.

Როდესაც ასე აღუზრდით შვილს, რომ ზეეთი ნათქვამი მოთხოვნილება მაინც დაუკმაყოფილდება იმას, მაშინ და მხოლოდ მაშინ დაედება იმას გული შკოლისკენ, მაშინ გახდება ის მისი მომხრე და მეგობარი, აღარ დაინანებს არავითარ გადასახადს შკოლისთვის, რადგან ცხადად დაინახავს მის სარგებლობას; მაშინ ისიც შეიძლება, რომ მომეტებული ხარჯი მოსთხოვოთ მას მომეტებული სწავლის შემოღებისათვის, შკოლის გაუმჯობესობისათვის და მასწავლებლების რიგიანად დაჯილდოებისათვის. ᲯᲔᲠ ᲮᲐᲜᲐᲓ კი იმას მცირედი გადასახადიც ენანება, რადგან არ იცის რა ნაყოფი ექნება, რა სარგებლობა მისცემს იმას ის გადასახადი.

შეიძლება მიაღწიოს ამ მიზნამდის იმისთანა ქართულმა შკოლამ, რომელშიაც საგნების სწავლა, ცოდნის შეძენა მათთვის გაუგებარ ენაზედ იქნება? Ამ გვარ შკოლაში მოსწავლე უმაწვილს რითი შეუძლიან აჩვენოს თავის პატრონს თავისი სწავლა, წარმატება? Დიაღაც ვერაფრით. Მინ არ იცის, რომ როდესაც გაუგებარ ენაზედ სწავლობს რასმეს უმაწვილი, მაშინ მასში მოქმედებს მხოლოდ მეხსიერება, გონება კი დაძინებულია უვარჯიშობისაგან, და როდესაც გონებას სძინავს,—სწავლას, ასე ვსთქვათ, სიცოცხლე არა აქვს—დუნე და მოჩოლფოტებულა და ზნეობითაც მოშვებულა უმაწვილი. Ამისთანა გარემოებაში ბავშვს არავითარი საგანი არა აქვს, რომ თავის ცოდნა სხვას გაუნაწილოს, ესაუბროს უაზროდ გაზეპირე-

*) „Დროება„, № 175,

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

(წერილი მესამე)

Ბათუმი, 26 Აგვისტოს

Გუშინ გაცნობეთ, რომ ჩვენ წყნარად, მშვიდობიანად შევედით ბათუმში.

ნება მომეცით მოგახსენოთ ახლა—თუ როგორ მოხდა ეს ჩვენი აქ შემოსვლა:

წინა ღამეს, ე. ი. 24-ს, ჩვენ გავათიეთ სოფელს ჩაქვში, იმ ჩაქვში რომელიც ჩვენს ისტორიაში გამოჩენილია: Იმერეთის მეფე სოლომონი დაეცა აქ ოსმალოს ჯარს და, როგორც ისტორია მოგვითხრობს, თუმცა დიდი ზიანი ნახა, მაგრამ მტერი მაინც დაამარცხა. როგორც ეტყობა, მაშინ ოსმალებს ისე არ ჰქონიათ გამაგრებული ხუც-უბანი და Ციხის-ძირი, როგორც ახლა აქვსთ.

ჩაქვში დაგვიხვდა ჩვენ ჩაქვის ბეგი ჰუსეინ-ბეგი ბეჟან-ოღლი, ანუ ბეჟანიშვილი, თავის ამალით და დეპუტაციით. Ეს ჰუსეინ-ბეგი ძალიან გავლენიანი კაცია თავის უაზაში. Ყველა გვარ გაჭირებაში მთელი აქაური ხალხი იმას დაეკითხება ხოლმე, იმას ჰკითხავს რჩევას და დარიგებას.

Ამის წყალობით ჩაქვის მაზრიდამ ძალიან ცოტა გადასახლდნენ ახლა; ხალხი ხედავდა, რომ იმათი აღა არსად მიდის და თვითონაც არ მოიცვალეს ფეხი.

ჰუსეინ-ბეგი ჩინებულად ლაპარაკობს ქართულად და როგორც თვითონ დაბარწმუნა, იმის ოჯახში ყველამ იცის ქართული წერა-კითხვა.

Ამან მიამბო სხვათა შორის, რომ ამ ორი კვირის წინა, Დერვიშ-ფაშის რჩევით, ჩვენ ჩაქველებმა, ქობულეთელებმა, ბათუმელებმა და ლაზებმა მოვიკიდეთ თოფ-იარაღს ხელი და არ გიპირებდით ჩვენს ქვეყანაში შემოშვებასო. სულ ათი ითასს კაცზე მეტი ვიყავით დაიარაღებული და საომრად გამზადებულიო.

Დერვიშ-ფაშა ჯერ დაგვპირდაო, რომ ოღონდ თქვენ მოემზადენით საომრად და მე ნიზამის ჯარებს მოგახმართ და Ციხის-ძირზე გავმაგრდეთო.

Მაგრამ როდესაც ჩვენ მოვემზადენით Დერვიშმა გამოგვიცხადაო, რომ ჯარს ვერ მოგახმართ, რადგან ხონთქარი ყველა ხელმწიფეების გადაწყვეტილებას ვერ აღუდგება წინაო და ხელ მეორეთ ვერ გამოუცხადებს რუსეთს ომსაო. Ამ დროსვე ამბავი მოგვივიდა, რომ ოსმალოს ჯა-

ბული გაუგებარი სიტყვების გრეხილის მეტი იმან არა იცისრა, არა ახსოვსრა (თუ კი ლა კიდევ ახსოვს). ამ გარემოებაში მყოფს იმას ხალისი ეკარგება სწავლისა, ზნეობით სწუხდება, დუნდება, ლონდება, და—თუ ღმერთი შეეწია როგორმე და საქაჯავს გაუძლო ვადამდის—იქნება სრულ გამოჩერჩეტებას როგორმე დაეღწიოს.

მაგრამ ჩვენ ამისი არ გვეშინიან. დარწმუნებული ვართ, რომ სოფლის ბავშვისა და მისი მშობლების გარემოება იმ გვარია, რომ ამ ხასიათის შკოლასთან დიდ თავაზიანობას არც ერთი არ გასწევს. ქალაქისა და ქალაქელების საქმე სულ სხვა არის. აქ მეტი ღონე არ არის იმ გვარ სასწავლებლებსაც ვითმენთ, რადგან სხვა გზა არა გვაქვს, ჩვენი შვილი ჩვენთვის საჭირო არ არის, სულ მეტია, უსაქმოა. სოფლის საქმე კი სხვაა. ზევით მოგახსენეთ, რომ სოფლის ყმაწვილს თავის ოჯახში მუშის ადგილი უჭირავს, ის შინაც ძალიან საჭიროა, და თუ პატრონმა დასთმო და შკოლაში მისცა, იმიტომ მისცა, რომ დიდი მოლოდინი აქვს სწავლის შესრულების შემდეგ იმისგან. თუ სწავლის განმავალობაში ვერა ნახა-რა თავის შვილში ამ მოლოდინის დამაკმაყოფილებელი რამე—უნდოდ, გულ-აცრუებით დაუწყებს ცქერას შკოლას; ამასობაში უაზრო სწავლით მობეზრებული ყმაწვილიც დაჰკარგავს შკოლაში სიარულის ხალისს და ერთს მშვენიერ დღეს მამაც და შვილიც გადასწყვეტენ, რომ შკოლა იმათთვის არა ყოფილა დაარსებული, არამედ—„უჩიტლისთვის“ რომ იმათ ოფლით მოგებულ ფულს თავიანთ სასარგებლოდ კი არ ართმევენ; არამედ „ვილაც მოსული სერთუკიანის“ საქეიფოდ.

აი, ეს გვაშინებს ჩვენ. . . . დიდად საჭიროა, რომ სოფლის შკოლებს ამ პირველ ხანშივე ისეთი ხასიათი მიეცეს, რომ ხალხმა ცხადად დაინახოს მისი სარგებლობა, დარწმუნდეს, რომ საკუთრად მისთვის არის დაფუძნებული და არა „ვილაც სერთუკიანისთვის“ და მამასახლისისთვის, რომ მის გადასახადს კარგი, მისთვის საკეთილო შედეგი აქვს. თუ არა ახლავე ზოგი ერთი მასწავლებლებისაგან ხალხში უკვე აღძრული უკმაყოფილება გზას გაიკვალავს და იქამდის მივა, რომ ჯერ შვილებს აღარ მისცემს შკოლაში და მერე აღარც ფულს გადაიხდის მის შესანახავად. და ეს გარემოება იმას იზამს, რომ ხალხში ჩააქრობს, დროებით მაინც, სწავლის სურვილს და ვინ იცის ერთ ათიოდ წელიწადს ქრისტე ღმერთმაც ველარ უშველოს ამ საქმეს.

როგორც ვიცით, უმთავრესი საბუთი რუსულ ენაზედ საგნების სწავლების სასარგებლოდ ის არის, რომ ქართულ ენაზედ სახელ მძღვანელო წიგნები არა გვაქვსო. ამ უმთავრეს საბუთს ერთი შეუბერეთ და გაქრება. აბა მოიფიქრეთ ჯერ შკოლები ჩნდიბა, თუ ჯერ სახელმძღვანელო წიგნები? რომელი რომლისთვის? სახელმძღვანელო წიგნებისთვის ხომ არა ჩნდება შკოლები?! . . . ღვინო რომ არ სად არის ჯერ—ტიკებისთვის ვინ იზრუნავდა? . . .

დიალ. . . საჭიროა, რომ მასწავლებლებმა, რომელთაც ამ საქმის გადაწყვეტა მოელის, კარგა მოიფიქრონ ჩვენი სოფლის ხალხის გარემოებაზედ, მის საჭიროებაზედ, თ ა მ ა მ ა დ წარმოსთქვან კრების წინაშე თავიანთი აზრი და გამოცდილება, არ გამოუდგნენ არა ვითარ ა ნ გ ა რ ი შ ს, კერძო რამე მოაზრებას. საზოგადო საქმეში ყველაზედ უწინარეს საზოგადო სარგებლობა უნდა ჰქონდეს კაცს თვალწინ და ამას უნდა ემსახურებოდეს ამაყად, გულადად.

ნ. ა.

დღიური

** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ მოკლე ხანში გამოვა თ. ვახტანგ ორბელიანის ლექსი „იმედი“ და რამდენიმე კიდევ სხვა.

** ამ დღეებში ვიშოვნეთ ჩვენ ძველი ხელთ ნაწერი ქართული გრამმატიკა, რომლის შედგენაც ეკუთვნის ბატონიშვილს დავით გიორგის ძეს; ეს გრამმატიკა ახალი ქართული ენით არის დაწერილი.

** თბილისის მეტეხის ღვთის მშობლის ეკკლესიიდამ გადმოვარდნილა და დაკარგულა ერთი დიდი ქვა. რომელიც იმითი იყო შესანიშნავი, რომ ზედ ეწერა ერთი დიდი ლექსი ბატონიშვილის ირაკლის, როდესაც იმას აბატ-ხანზედ გაუმარჯვნია. მაშინ იქ წირვა გადაუხდია ანტონ საქართველოს კათოლიკოზს და ის ლექსიც სახსოვრად დაუწერიათ მეფე ერეკლეზედ.

იმედი გვაქვს, რომ არხეოლოგიური კომმისია ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევს და არ დაჰკარგავს ამ ძვირფასს ქვას.

** წელს როგორც თბილისის სასულიერო სემინარიაში, სამასწავლებლო ინსტიტუტში საკმარისათ მიიღეს ყმაწვილები. როგორც შარშან, წელსაც სულ ქართველი ყმაწვილები არიან.

** რაჭიდამ იწერებიან:

„სამხედრო ღუბერნატორის მოსვლამ ჩვენში იმდენათ აღტაცებაში მოგვიყვანა რაჭის მაზრის ჩინოვნიკობა და საზოგადოთ ყველა მაზრის მცხოვრებლები, რომ მაზრის უფროსის სახლის წინ ჩარაზმულნი ვიძახდით: „ურა! ურა!“

„როგორც ძველი ჩვეულება მომდინარეობს ამ გვარ შემთხვევაში, ხარჯი მიჭდობილია მთელი მაზრის სამამასახლისოზედ, რომელიც ამ დროს დიდ პურადობას იჩენს.

„მეორე დღეს ღუბერნატორმა ნახა სასოფლო კანცელარია, სადაც მოიკითხა „კნიღები“, განიხილა ისინი და ნახა, რომ ზოგი იყო სრულიად ჩაუწერელი, ზოგი უსაფუძვლოდ ჩაწერილი; მაგრამ საყვედური არ გამოუცხადა მწერალს“.

** ჩვენ მივიღეთ ლეჩხუმიდამ შემდეგი წერილი:

რები ცლიან ციხი-ძირს და რუსები შედიან იქ.

ამის შემდეგ ჩვენი წინააღმდეგობის საქმე გათავებული იყო; ჩვენ მარტო რას ვიქდით? წავედი, გამოვეცხადე ღენ. ოკლობჟიოს და დაუკარი თავი. ასე ქნეს სხვებმაცო, დაუმატა ჰუსსეინ-ბეგმა.

ჩვენი ყაზი ანუ მაზრა მშვენიერი რამ ადგილია. ერთის მხრით ზღვა, მეორეს—ამაღლებული მთები, რომელზედაც, თითქო მერცხლები, მიჯგუფულან მცხოვრებლები. ზღვას და მთებს შუა ალაგ-ალაგ გაშლილია მშვენიერი, ფართო, ნაყოფიერი მინდვრები, რომელზედაც ხალხა ყანები აქვს მომეტებული ნაწილი სიმინდი, ლომი და ბრინჯი. ჰუსსეინ-ბეგი წელიწადში სხვათა შორის, უკანასკნელ 3,000 მანეთის მარტო ბრინჯს ჰყიდის. ჩაქვის ღვინო და ხილი მთელს ოსმალოს საქართველოში განთქმულია.

მოსახლებს მთებზე გზიდამ თითქმის სრულიად ვერ ჰხედავ; შეატყობ, რომ აქ ვინმე სახლიაო, მხოლოთ იმით, რომ ეზოში უეჭველია, რამოდენიმე დიდი ხეა ამართული და იქვე ვენახია.

მეორე დღეს, 25-ს, 10 საათზე, ჩვენ გამოვემგზავრეთ ბათუმისაკენ; ჩაქვიდამ ბათუმამდინ ცხენით ერთი საათის სავალელია, რადგან ექვსი ვერსი ითვლება. მაგრამ ჩვენ კი ორ საათს მოუნდით: ქვევითა ჯარები მოგვდევდა უკან და ცხენოსნები წყნარის ნაბიჯით მივდიოდით.

შუა გზაზედ დაგვიხვდა დერვიშ-ფაშის ადიუტანტი, რომელმანც გამოუცხადა თ. მირსკის, რომ მე თქვენ განკარგულების ქვეშ გამომგზავნა დერვიშ-ფაშამაო.

ცოტა კიდევ რომ გავიარეთ დაგვიხვდა ბრიგადის ღენერალი მუსტაფა-ფაშა ერთის პოლკოვნიკით, ორი უბრალო აფიცრით და 30 ცხენოსნით. მუსტაფა-ფაშა ჯერ თითქმის სრულიად ახალგაზდა კაცია, ძლიერ ლამაზი, მშვენიერს არაბულს ცხენზე ზის. შორიდამ სამხედრო სალამი მისცა იმან თ. მირსკის; მაგრამ როცა აშან გაუწია ხელი ჩამოსართმევად და მუსტაფა-ფაშამაც მოიწია ხელის მისაცემად, იმის ცხენმა უეცრად ერთი საშინლად დაიჭიხვინა, იტლინკა და უკან დაიწია. რამდენი ეცადა, რომ მოეწია ცხენი, მაგრამ არა ეშველა-რა: როგორც მიუახლოვდებოდა და ხელს გაიშვერდა, იმწამსვე ცხენი დაიწყებდა ტოკვას, ადგებოდა უკანა ფეხებზედა და უკან დაიხევდა. . . . თითქო არ სურდა, რომ იმის პატრონს რუსის ღენერლისათვის ხელი მიეცა.

ერთი ვერსი რომ დაგვრჩა ბათუმის კარებამდინ, თ. მირსკის მოეგება თვი-

„ძალაქ ლაილაშში ვნახე ერთი ხახამი ურია, რომელსაც მთელ ძუთაისის ლუბერნიაში გაუხმიანებია თავის მკითხაობა, რომ ვითომ იმის მკითხაობით მრავალნი სნეულნი იკურნებიან. ამის გამო იმის კარებზედ მუდამ ინახება ქალისა და კაცის კრება. ეს რო ვნახე გავკვირდი, რატომ ან მთავრობას, ან ჩვენს სულიერ მამებს ყურადღება არ მიუქცევია მეტქი?

„ამ ხახამმა მკითხაობით იმდენი ფული მოაგროვა, რომ თავის შვილებს იერუსალიმში უყიდა სამოსახლო ადგილი და იქ დაასახლა ისინი.

„ამას მისთვის გწერ, უ. რედაქტორო, რომ მისმა ყოველად უსამღვდელოესობამ, იმერეთის ეპისკოპოსმა წაიკითხოს და მიაქციოს ყურადღება: მისწეროს იქაურ მღვდლებს, რომ იმათ მოასპობინონ ხალხს ამ, და საზოგადოთ ყველა მკითხავებთან მსვლელობა—და დაიხსნას ის უბრალო ხარჯისგან“.

*** ამ დღეებში გამოვიდა უფ. პეტრე უმიკაშვილის მიერ შედგენილი ქართული დედანი, (პროპისი) დაბეჭდილი ტომსონის ლიტოგრაფიაში. ძლივს არ გვეღირსა ამ ნაკლულევანების შევსება. ეს ყველა მოსწავლეთათვის საჭირო გამოცემა რა ღირება ან სად გაისყიდება—ამაზედ ცალკე იქნება გამოცხადებული „დროებაში“.

ომის შემდეგ

რუსეთი

— გაზეთ „ახალ დროებაში“ პერიდამ 22 აგვისტოს იწერებიან, რომ პირველი დივიზია, სამი პოლკი ქვეითი ჯარი, მეორე დივიზია, სამი კავალერიის პოლკი არტილლერიითურთ, სულ 20.000 კაცი, უკვე დაითხოვეს და გაგზავნეს სამშობლოში; მომავალი კვირის გასულს მთელი გვარდია ადესაში იქნებაო. ხვალ მოელიან აქ ინგლისის კამისარს დრუმმონდ ვოლფს.

— გაზეთის „კავკაზის“ სიტყვით „პეტერბურღის უწყებებში“ იწერებიან, რომ 20 აგვისტოდამ მთელ პეტერბურღში დაყენებულია შეიარაღებული ყაზახები; ამასთან თითოეული მუდმივ დადის თავის რაიონშიო. ამ დღეებში ნადზირატლები იქნებიან რევოლვერებით შეიარაღებულნიო.

— რუსჩუკიდამ იწერებიან „ახალ დროებაში“ 21 აგვისტოს, რომ თათრები, მალაკნები და რუსები, რომლებიც სცხოვრობენ დობრუჯუში, რადგანაც არ სურსთ რუმინიის ქვეშევრდომებათ გახდნენ, სთხოვენ შუამდგომლობას რუსის მფლობელებს, რომ ნება მიეცესთ რუსეთში გადასაგლებისაო.

ოსმალეთი

—„პოლიტიკურ კორრესპონდენციაში“ აცნობებენ სტამბოლიდამ 30 აგვისტოს, რომ რადგანაც რუსის ჯარები გადაჰყავსთ სამშობლოში, ხელ მეორედ აღძრულია კითხვა ინგლისის ფლოტის განშორებაზედ დარდანელიდამ. დიპლომატიურ წრეში ამბობენ, რომ ინგლისი მხოლოდ მაშინ ჰპირდება ფლოტის განშორებას, როცა ყველა რუსის ჯარები დაცლიან პოზიციებს სტამბოლთან.

— „კავკაზში“ მოყვანილია უცხო ქვეყნის გაზეთის ტელეგრამმა სტამბოლიდამ 30 აგვისტოს მიღებული, რომ სამხრეთ ანატოლიაში წარძოსდგა ახალი უწესიერებანი. ღენერალ-ღუბერნატორმა მიიღო უსაჭიროესი სამხედრო ზომები ხალხის დასამშვიდებელადაო.

— რაღუზიდამ იწერებიან რუსულ გაზეთებში, რომ 28 აგვისტოს ინსურგენტები შეუერილან მოსალაპარაკებლად. ტრებინიეს მახლობლად. უმეტესობა წინაალმდეგი იყო ომის გაგრძელებისა,—უმცირეს ნაწილს კი სურდა ნება ყოფლობით დამორჩილებოდა ავსტრიელებს. ტყვეთ აყვანილი 154 რეგულიარული სალდათები (იმათ რიცხვში ოთხი აფიცარი) ოსმალოს არმიისა მიიყვანეს რაღუზაშიო.

— უცხო ქვეყნის გაზეთში [illegible] დილია შემდეგი ტელეგრამმა ბელგრადიდამ 28 აგვისტოს მიღებული:

„ახალ მაზრის ფაშამ გამოაცხადა აჯანყება. ორი კორპუსი ჯარისა, თითოში 9,000 კაცი, ინიშნებიან ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში. ამას გარდა მოელიან კიდე 20,000 ალბანიელებს“.

— ამავე გაზეთების სიტყვით 29 აგვისტოდამ, ალბანიელები თავს არ ანებებენ და მტრულად ეპყრობიან სერბიას. შეტაკებაში, რომელიც მოხდა ამ ცოტა ხანში. ვარნაი მაზრიში, როგორც ამბობენ, მოკლულია 40 სერბიელიო.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბერლინი, 29 აგვისტოს. იმ კომისიებში, რომელნიც უნდა შეიკრიბონ საზღვრების შესასწორებლად ბერმანიის მხრივ დანიშნულია: ბოლგარ-რუმელიის საზღვრებისთვის კონსტანტინოპოლში პოლკოვნიკი და მაიორი (?) კრამერი; სერბიის სამზღვრებისათვის ბელგრადში მაიორი ალტენი, ჩერნოგორიის კომისიაში მაიორი მასროვი. ყველა ეს პირნი არიან ბერმანიის საგენერალო (უმთავრესი) შტაბისანი.

სან-სტეფანო, 28 აგვიტოს. ბუშინ კონსტანტინოპოლში ბევრნი დაატუსაღესო. ამბობენ მურადის მომხრეების შეთქმულობა აღმოაჩენიათ, რომელთაც ბამიდის სასახლეზედ დაცემა განუზრახავთ. ოსმალები ძალიან აღელვებულნი არიან. სასახლის დარაჯები მოუმატეს. მმართველობის წრეები თავზარ-დაცემულნი არიან.

ვენა, 28 აგვისტოს. ოსმალების მოყვარე ვენგრიელთა მწერლობის ხასიათონ დერვიშ ფაშა. ჩვეულებრივი სამხედრო სალამის შემდეგ, ესენი მიუახლოვდნენ ერთმანეთს და მაგრად, ძაგრათ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელები.

დერვიშ-ფაშა უკანასკნელი სამოცი წლის კაცი იქნება. ძალიან ტანისა, წელში ცოტათი მოხრილი; გამხდარი; პატარა ჭალარა წვერები, წამწვეთებული ცხვირი, წმინდა, სუფთა, მელასავით მოცინარი თვალები და ტუჩები. ერთს შეხედვაზე ეტყობა, რომ ჭკვიანი კაცი უნდა იყვეს. ამბობენ დერვიშ-ფაშა შრომის მოყვარე, მხნე კაციაო, ყველა საქმეში თვითონ ერევა, თავის თვალით უყურებდა და თვალ-ყურს ადევნებდა ყველა მუშაობაზე, სიმაგრეების გაკეთებაზე და სხვ. ამ სიტყვების სინამდვილეში დავრწმუნდი მე აქ ამ ორი დღის განმავლობაში, როდესაც ოსმალოს ჯარი თავიანთ ხომალდებზედ თავის სამხედრო მასალებს, სურსათს, თოფ-იარაღს, და ზარბაზნებს და სხვას ალაგებდა ხომალდებში ტრაპიზონში წასაღებად; თითქმის დილიდამ საღამომდინ ფეხ-მოუცველელად იჯდა ის ზღვის ნაპირას, ბათუმის რეიდზე, და ხან ერთს განკარგულებას აძლევდა-თუ სად და როგორ უნდა ჩაალაგონ ხომალდებში სხვადა-სხვა საქონელი ან როგორც უნდა ჩასვან ჯარები, და ხან მეორეს.

ზედ ბათუმის კარებში თ. მირსკის დაუხვედნენ ქალაქის დეპუტატები, ოსმალების მოლლები, სომხების ტერტერები და ბერძნების მღვდლები ხატებით და პურ-მარილი მიართვეს. თ. მირსკი ჩამოხტა ცხენიდამ, მივიდა ოსმალების დეპუტაციასთან და მოკლე სიტყვა უთხრა იმათ, რომელშიაც ის ჰაზრი იყო გამოთქმული, რომ ეს ქვეყანა რუსეთის იმპერატორს დარჩაო, მაგრამ თქვენ ნურც თქვენი სარწმუნოების შევიწროებისა, ნურც თქვენი ოჯახის შეურაცხყოფისა და ნურც სხვა უსამართლოების მოყენებისა ნუ შეგეშინდებათო. იყავით, იცხოვრეთ მშვიდობიანათ, ემსახურეთ რუსეთის იმპერატორს ისე ერთგულად როგორც დღემდინ ოსმალოს სულთანს მსახურებდითო და დარწმუნებული იყავითო, რომ არა მხრით თქვენ შეწუხება არ მოგელისთო. თქვენს სარწმუნოებას კაცი ხელს არ ახლებს, თქვენი ოჯახი დაცული იქნება, იშრომეთ და იყავითო. . . .

ამ სიტყვას, როგორც ეტყობოდა, კარგი გაელენა ჰქონდა მაჰმადიანებზე.

შემდეგ თ. მირსკი ემხვია სომხებისა და ბერძნების ხატებს, შებრძანდა ცხენზე და ჩვენ ყველანი ბათუმში შეველით.

ბათუმზე შემდეგს წერილში.

ს. მ.

თი იცვლება. ის იმ აზრს დაადგება, რომ უსარგებლო და შეუძლებელი იქნება ოსმალეთთან კონვენციის შეკვრა. ზოგიერთი გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ ავსტრიელებმა ხელი აიღონ ბოსნიის დაპყრობაზედ. მმარზებლობაზედ უკმაყოფილება ძლიერდება.

პერა, 28 აგვისტოს. აქ მოვიდა ახალი ბერმანიის ელჩი გრაფი ბაცერელდი; ჯერ მანამ სულთანს გამოეცხადებოდა, ის ნავიდგანვე პირ-და-პირ სანსტეფანოში წავიდა და დიდხანს ჰქონდა მოლაპარაკება ტოტლებენთან ავატრიასთან კონვენციის შეკვრის თაობაზედ. ოსმალოს მთავრობაში უთანხმოება მოხდა. სამხედრო მინისტრი მუსტაფა-ფაშა სრულებით არ დეთანხმა ამაზედ—ვენის მთავრობას.

პეტერბურღში, გაზეთმა „რუსის ქვეყანაში“ მეორე გაფრთხილება მიიღო.

ბერლინი, 27 აგვისტოს. ღღეს ფილტვების ავადმყოფობისგან მოკვდა ნობელინგი, რომელმანც იმპერატორ-ვილჰელმის მოკვლა განიზრახა.

ვენა, 29 აგვისტოს. 36 ბანიალურის დივიზიის ოფიციალური მოხსენებიდამ სჩანს, რომ 28 აგვისტოს მტერი დამარცხდა და უკუნ-იქცა.

ვენა, 29 აგვისტოს. ანდრაშიმ, რომელსაც განზრახვა ჰქონდა ერთი თვით წასულიყო თავის მიწა-წყალზედ, გადასდო ეს განზრახვა და რჩება ვენაში.

ბელგრადიდამ მოვიდა ცნობები, რომ მილანმა, რომელსაც სურდა დაემტკიცებინა სერბიის დამოუკიდებლობის გამოცხადება რაიმე მეგობრული აქტით, გაუგზავნა ტაკოვის ორდენის ნიშანი ყველა ხელმწიფეებს.

ცეტინიე, 29 აგვისტოს. ბევრი ყოყმანობის შემდეგ თ. ნიკოლოზმა, დაინახა-რა შეუპოვრობა, პორტისა, გაგზავნა თავის ჯარები. მალე პოდგორიცესთან თვითონ შეუერთდა ჯარს, რომ შეუდგეს მხედრულ მოქმედებას. აქ მოსული ცნობებიდან სჩანს, რომ ბერმანიამ ავსტრიამ, რომელთაც სურდათ მოეშალათ ეს შეტაკება, აცნობეს პორტას, რომ ნება-ყოფლობით მისცეს ჩერნოგორიას ის, რაც ერგება მიიღოს ბერლინის მოლაპარაკებით. მაგრამ როგორცა სჩანს თვითონ პორტასაც არ ძალუძს დაკმაყოფილოს ჩერნოგორიელები, მიტომ, რომ იმას საშმართველოს წევრებიც არ უგონებენ, იმის ბრძანებას არ ასრულებენ. დაინახა რა პორტის მხრით ამ გვარი შეუწევნელობა, თ. ნიკოლოზმა გადასწყვიტა ძალით მიიღოს ის, რაც არგუნა იმას მთელმა ევროპამ.

მაგრამ ავსტრიის მხრით შემწეობა ჩერნოგორიისადმი აქ არავის არ სჯერა.

ვილნო, 29 მარიამობისთვეს. პოლკი, დაბრუნებული მომქმედ არმიიდგან, მოვიდა პეტერბურღში. მიიღო რა ცნობა აქაურმა დუმამ, რომ ვილნოზედ გამელელ გვარდიის პოლკს ჩვენს ქალაქში ექნებათ დღეობა, დანიშნა საჭირო ფული მხედრების გასამასპინძლებლად. ადგილობრივი საზოგადოებაც ამ გვარად მოიქცა. მცირე შესაწირავით. პირველად მხარულად მიიგებენ და მიიპატიჟეს ვისი უდიდეგულესობის გუსარის ლიბგვარდიის პოლკი. ქალაქს უპრავამ მოედანზედ, იმპერიესკის ბაზარმებთან გამართა სტოლი სადილისთვის. ამასთან ეს მოედანი იყო მორთული დროშებით და ხელმწიფე იმპერატორის სახელის გამოხატულობით. თითოეულ სალდათს, გარდა ძირფასი საჭმელებისა, დაურიგეს თითო პაჩკა პაპიროსი. ამ გვარივე დაპატიჟებას და პატივის ცემას უპირებენ ყველა სხვა აქეთკენ გამომვლელ გვარდიის ჯარებსაც.

თბილისის სამკურნალოდ, დაწესებული 1866 წ. 4 აპრილს ... ...